

მონაცემთა ინტეგრირებული ანალიზი

ლილი პეტრიაშვილი, მაია ოხანაშვილი, შოთა ახალაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია Enterprise Resource Planning სისტემის განვითარება, მონაცემთა საცავების როლი ასეთი საინფორმაციო სისტემის არქიტექტურაში, აგრეთვე ინტეგრირებული საშუალების შექმნის პერსპექტივით ამ ორი ტექნოლოგის გამოყენების ბაზაზე ანალიზური კვლევის ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: ERP (Enterprise Resource Planning). სისტემა. ტარნზაქცია. მონაცემთა საცავი. დამკვეთების მართვა. CRM (Customer Relationship Management). მონაცემთა გარდაქმნა.

1. შესავალი

ბოლო პერიოდის განმავლობაში მსხვილ კომპანიათა დიდი ნაწილი ტრანზაქციათა დამუშავებისას იყენებს ERP (Enterprise Resource Planning) სისტემებს. მეორეს მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა საცავებს, რომლებიც მნიშვნელოვან სამსახურს უწევს კომპანიის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილებათა მიღებაში.

დიდ კომპანიათა მიერ წარმატებული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო გახდა, ერთის მხრივ, ERP-სისტემების და, მეორეს მხრივ, მონაცემთა საცავების პარალელულად გამოყენების აუცილებლობა [1].

ERP-სისტემის განვითარება დაიწყო 1990 წლიდან, რის აუცილებლობაც განაპირობა სამშაბდითადმა ტენდენციამ:

- მოძღვნო წლისათვის არსებული ფინანსური პრობლემები;
- ბიზნეს-პროცესების, როგორც მირითადი სტრატეგიის რეინჟინირება;
- ERP-სისტემის ფუნქციონალური და ტექნიკური მიღწევები.

ოთხმოცდათანი წლების დასაწყისში პროგრამული უზრუნველყოფა ხორციელდებოდა შეკვეთის რომელიმე კონკრეტულ ნაწილზე, დაწყებული ტექნიკური მოწყობილობიდან, დამთავრებული ფინანსური მნიშვნელობით. ხშირ შემთხვევაში პროგრამები ცუდად ინტეგრირდებოდა, რის შედეგადაც პროგრამულ პაკეტთა უმეტესობა მუშაობდა მხოლოდ მეინფრეიმზე და შესაბამისად ვერ იყენებდა კლიენტ-სერვერ არქიტექტურას, რომელიც ამ პრიორიტეტისათვის აქტიურად ვითარდებოდა. არსებულ შეკვეთათა შესრულებისას გამოყენებულ პროგრამათა დიდი ნაწილი ქმნიდა სერიოზულ პრობლემებს, რადგან ასეთ დანართთა ინტეგრირება შეუძლებელი იყო ახალ, უფრო მეტი სირთულის პროგრამულ საშუალებებთან.

კლიენტ-სერვერ არქიტექტურის ბაზაზე წარმოქმნილი ინტეგრირებული ERP-სისტემა ტრანზაქციათა დამუშავებისას პროგრამული უზრუნველყოფის უფერესობას საშუალებაა. სისტემის ნაკლად შეიძლება ჩავთავალოთ ის, რომ არ არის გათვალისწინებულ მოთხოვნათა ხარისხის განსაზღვრა, ამ დროს იყო ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელისათვის, რათა ზელი შეუწყოს გადაწყვეტილებათა მისაღებად.

2. მირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ ERP-სისტემა იყოს სრულყოფილი სახით წარმოდგენილი, პროგრამული რესურსების მწარმოებელები აერთიანებენ ERP-სისტემას მონცემთა საცავებთან. ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდნენ ვიწრო სპეციალიზებულ საშუალებებს, რომლებიც ასრულებდა დანართის ძირითად ფუნქციას. მიუხედავად ამისა მათ ჰქონდა მნიშვნელოვნი ნაკლი, რაც გამოიხატებოდა ტრანზაქციათა ცალ-ცალკე დამუშავებაში და წარმოებაში ვერ ხერხდებოდა მათი მთლიანობაში წარმოდგენა.

ოთხმოცდაათიანი წლის ბოლოს ბევრმა ორგანიზაციამ დაიწყო თავის ERP-სისტემების მოდერნიზაცია, შეეცადნენ მოქმედინათ მისი ინტეგრაცია მონაცემთა საცავებთან. შედეგად მიიღეს, რომ მონაცემები, რომლებიც დროის კონკრეტულ მონაცემში განიხილებოდა ERP-სისტემაში, აუცილებლად უნდა დამუშავებულიყო მონაცემთა საცავებში, რადგან მათი ინტეგრირებული წარმოდგენისას მთელი კომპანიის მაშტაბით შესაძლებელი გამხდარიყო მართვისა და ანალიზის საკითხებში სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება.

ინტეგრირებული ანალიზი მონაცემებს აერთიანებს რამდენიმე სისტემაში: დამკვეთების მართვა ურთიერთქმედების რეჟიმში CRM – (customer relationship management), ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსები, ელექტრონული კომერცია. ეს ტექნოლოგია აგრეთვე გვაძლევს შესაძლებლობას გავაფართოვოთ ინფორმაციის ანალიზური დამუშავება, რის შედეგადაც კომპანიას შეეძლება სწრაფად მოახდინოს რეაგირება ბაზარზე არსებულ მუდმივად ცვალებად სიტუაციებზე.

ინტეგრირებული ანალიზის ჩატარებისას შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი შედეგები:

- აერთიანებს ინფორმაციას მთელი კომპანიის მაშტაბით;
- საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად შევარჩიოთ Business Intelligence მეთოდი სისტემის ყოველი მომზარებლისათვის;
- მოიცავს კველაზე თანამედროვე ანალიზურ მოდელს, რომლის დანიშნულებაცაა გატაწყვეტილების მიღებაში ხელის შეწყობა.

ინტეგრირებული ანალიზი წარმოებას უზრუნველყოფს აუცილებელი ანგარიშების სახეობით და ინსტრუმენტული საშუალებებით, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელს ხელს უწყობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ბევრ ERP – პროდუქტში ტრანზაქციული ფორმით, ხოლო მომზარებელს ჭირდება სწრაფად მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა დეტალიზაციის დონეზე. ამის გარდა ტრადიციული ERP-სისტემა იყენებს რელაციურ ბაზებს, რომლთა სტრუქტურაც საშუალებას გვაძლევს შემომავალი მონაცემები წარმოვადგინოთ მხოლოდ ერთი განზომილებით, ხოლო მათი მრავალგანზომილებიანი წარმოდგენა მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ ტექნიკურ კვალიფიკაციას, რომელთა მწრმოებლურობა ოპერატიულ რეჟიმში ხშირ შემთხვევაში დაბალია.

მონაცემთა მრავალგანზომილებიანი წარმოდგენა ყველაზე უკეთ შესაძლებელია მონაცემთა საცავებში. ასეთი სისტემები შედგება, როგორც წესი სამი კომპონენტისაგან:

- მონაცემთა წარმოდგენა საცავში საჭირო ფორმატით;
- რეპარზიტორები, როგორც ინფორმაციის ოპერატორი წყარო;
- ანალიზური დონე, რომლის საშუალებითაც მომზარებელს შეეძლება განსაზღვროს მონაცემთა ტიპი.

ადრე ბევრი კომპანია ქმნიდა საკუთარ ინტერფეისებს, რომელთა დახმარებითაც უკავშირდებოდა ERP-სისტემას, როგორც დამოუკიდებელ ანალიზურ დანართს. ამ დროს იქმნებოდა პრობლემები იმის გამო, რომ მსხვილ მწარმოებლებს მუდმივად უნდა მოქმედინა საბაზო არქიტექტურის შევსება. ამ პრობლემის მოსავარებლად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონაცემთა საცავები, როგორც ERP-სისტემის საინფორმაციო არქიტექტურის ცენტრალური კომპონენტი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, მომსახურე პერსონალის, შემკვეთებზე და შემსრულებლებზე მონაცემთა ერათიანად წარმოდგენა ერთ-ერთი როლი ამოცანაა. ამ ამოცანის თავის გასართოებად შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე სხვადასხვა სახის სისტემა.

CRM-სისტემა, იგი მოიპოვებს ინფორმაციას კლიენტებთან მომსახურე თანამშრომლებზე და მათ ურთიერთგავშირზე კონკრეტულ დამკვეთთან. ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში იგივე ინფორმაციაა წარმოდგენილია სხვა ფორმატით, რაც აგრეთვე მეორდება ფინანსურ სისტემაში განსხვავებული ფორმატით. მონაცემთა საცავების გამოყენებისას მონაცემთა ასეთი სახით წარმოდგენა არ ხდება, რადგან მოხდება მათი სხვადასხვა დონეზე გაერთიანება [2]. მაგალითად,

- სრული და ურთიერთშეონბებული ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსებზე, შემკვეთებზე და თანამშრომლებზე;

- წარმოებისა და დაგვეგმვის მაჩვენებლების წარმოდგენა;
- ინსტრუმენტთა და ინფრასტრუქტურათა წარმოდგენის პროგრამული უზრუნველყოფა;
- პრობლემათა გადაჭრის ეფექტურობის ამაღლება, გამოყენებულ სისტემათა და ინტეგრირებულ ინსტრუმენტთა შემცირების ხარჯზე.

სხვადასხვა სახით მიდგომა ფირმა- მწარმოებელზე ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.

კომპლექსური ანალიზი მოთხოვნაზე რეალიზებული ანალიზი (2-ე თაობა)	ინტეგრირებული ანალიზი (3-ე თაობა)
ინტერაქტურული ანალიზი (OLAP, MQE)	განვითარებული მონაცემთა საცავი (2-ე თაობა)

**ინსტრუმენტები და
დამაჩქრებლები** **განვითარებული, რომელიც
როგორც მონაცემთა პროცესის
კონკრეტულ სფეროზე**

ნახ.1

ERP-სისტემის ახალი ვერსიის გამოჩენამ შესაძლებელი გახადა ანალიზის პროცესის ჩატარების დროს ცვლილებების შეტანა საინფორმაციო პროდუქტის კონკრეტულ დარგში.

როგორც ნახაზიდან ჩანს ანალიზის პროცესის ჩატარება ეტაპობრივად განიცდის განვითარებას სრულყოფისაკენ, რომელიც თაობებად არის წარმოდგენილი და საბოლოოდ იღებს ინტეგრირებულ სახეს.

აღსანიშნავა ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში მსხვილმა კომპანია-მწარმოებლებმა, როგორებიცაა SAP და PeopleSoft, მეორე თაობის ანალიზური სისტემის გამოყენებით მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს კონომიკს და ბიზნესის სფეროში.

ფირმა SAP ბაზარზე გამოჩნდა მონაცემთა საცავებით, და უშვებდა პროდუქტს დასახვლებით SAP Business Information Warehouse (BW). მის კომპონენტებს შორის იყო ასობით მონაცემთა ბაზა, მონაცემთა პროგრამული მართვის სქემები, ინტერაქტიული კვლევები, ეფექტურობის მაჩვენებლები და ა.შ. ინტეგრირებული ანალიზური სისტემის გამოყენებით მან შესაძლებელი გახადა თითოეული შემადგენელი კომპონენტის ექსპლუატაციის ღირებულების შემცირება, რაც დამკვეთთათვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა [3].

კომპანია PeopleSoft-მა ჯერ კოდევ ოთხი წლის წინ დაიწყო ინტეგრირებული ანალიზური სისტემის გამოყენება. მეშვიდე ვერსიაში PeopleSoft-დანართის პაკეტში დამატებული იყო პროდუქტთა სერია, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოების ეფექტურ მართვას (EPM - Enterprise Performance Management). თავიდან EPM მოდული ინტეგრირებული იყო დანართ PeopleSoft არქიტექტურასთან, სადაც გამოყენებული იყო არქიტექტურული სტანდარტები და მონაცემთა დამუშავების ორიგინალური ინსტრუმენტები.

ფირმა მუდმივად ავითარებდა EPM მოდულის შესაძლებლობებს. იგი დღეისათვის შედგება რამდენიმე კომპონენტისგან: მონაცემთა გარდაქმნა და ჩატვირთვა (ETL); მონაცემთა საცავები;

მონაცემთა დამუშავების ანალიზური ინსტრუმენტი; ანალიზური დანართი, რომელიც გამოიყენება დაგეგმვის, ბიუჯეტის და ბალანსის მაჩვნებლებისათვის.

ყველა ჩამოთვლილი ანალიზური კომპონენტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კომპანიის მდგომარეობა სხვადასხვა დონეებზე მაგალითად, რომელიმე პროდუქტის გასაღების დონე ცალკეულ რეგიონებში; გაყიდული პროდუქტის ღირებულება და კონკრეტული სახეობა; საქონლის რეალიზაციისათვის საკომისიო გადასხადები; შემოსავლები.

3. დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ERP- მოდული არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ინტეგრირებულ მონაცემთა ანალიზისათვის. ცხადია, რომ დანართი, რომელიც მუშვდებოდა კონკრეტული მომენტისათვის, წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი დაიკავა მზა პროდუქტმა, რომელიც განკუთვნილია წარმოების რესურსების მართვისათვის. მსხვილ საწარმოთა ანალიზურ ERP- დანართის დამკვეთები მკვეთრად განსაზღვრავენ თუ რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება. ინტეგრირებული ანალიზური სისტემის რელიზაციით ფირმებს აქვს შესაძლებლობა ოპტიმალურად განსაზღვროს და მართოს საწარმოო რესურსები.

4. ლიტერატურა:

1. Berg B. Universität Ulm, „Integrierte Systemen“, Germany. 2002.
2. Zinn D. Institut für Informatik der Universität Leipzig, „Analytische Systemen“. Germany. 2003.
3. Schröck M. FernUniversität Hagen, „Praktische Informatik“, Germany. 2004.

ИНТЕГРИРОВАННЫЙ АНАЛИЗ ДАННЫХ

Петриашвили Л., Оханашвили М., Ахалаия Ш.
Грузинский Техниузинский Университет

Резюме

Рассматриваются вопросы развития ERP-систем, роли хранилищ данных в информационной ERP-архитектуре, а также перспективы создания интегрированных сред, использующих возможности этих двух технологий. Кроме того, дается оценка достижений двух крупнейших фирм (SAP и People Soft), производителей ERP-систем в области разработки хранилищ данных и аналитических приложений.

INTEGRATED THE ANALYSIS OF DATA

Petriashvili L., Okhanashvili M., Akhalaia Sh.
Georgian Technical University

Summary

In this clause development of ERP-systems, a role of the data warehouses in information ERP-architecture, and also prospects of creation of the integrated environments using opportunities of these two technologies is considered. Besides the estimation of achievements of two largest firms (SAP and People Soft), manufacturers of ERP-systems is given in the field of development of the data warehouses and analytical appendices.